ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა

8 მაისი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 19:50სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ლანჩავა,ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების განხილვა და გაწევრიანება;
2. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის არჩევა;
3. სხვადასხვა;

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას" გაწევრიანების შესახებ განცხადებით მომართა 29 პირმა. აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა აღნიშნული განცხადებები და დადასტურდა, რომ ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე ასოციაციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო კომისიის სავარაუდო კანდიდატების სია დადებითად შეფასდა.

სხდომაზე მესამე საკითხად განხილულ იქნა ასოციაციის მხრიდან ანაზღაურებადი პირებისთვის პრემიის გაცემა, ვინაიდან, ტესტირების ჩატარებისთვის საჭირო გახდა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება თავმჯდომარის ინიციატივა პრემიებთან დაკავშირებით საბჭოს წევრების მხრიდან შეფასდა დადებითად.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებულ იქნა 29 პირი;
2. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:
   კახაბერ ასლანიშვილი
   როინ მიგრიაული
   მზია თოდუა
   ავთანდილ დემეტრაშვილი
   კონსტანტინე კორკელია
   ოთარ გამყრელიძე
   იური გაბისონია
   ლაშა კალანდაძე
   მაია კოპალეიშვილი
3. ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” საშტატო განრიგით გათვალისწინებული ერთეულების მიხედვით ხელფასის ერთმაგი ოდენობით განისაზღვროს პრემია აპარატის თითოეული თანამშრომლისთვის და იმ პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურება ხდება ასოციაციის მიერ (ასოციაციის ბიუჯეტის მდგომარეობის გათვალისწინებით).

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი, ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი, დ. ლანჩავა, რ. პიტავა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე